MES 0 23 0000777838

28/06/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინოვაციური განათლების პროგრამის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - შპს საქართველოს უნივერსიტეტის მასწავლებელთა დაკვირვებისა და მენტორინგის პროგრამის მათემატიკის მიმართულების ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარები სეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმი

ახმეთ თუღრულ - დაწესებულების დირექტორი;
სალომე ოსეფაშვილი - დაწესებულების იურისტი.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმი

ლელა ფიცხელაური
ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2023 წლის 14 ივნისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17-ე მუხლის მე-5-ე პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20-ე მუხლის მე-7-ე პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ ხელახლა განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ ხელახლა განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ

აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სააპელაციო საბჭოს ოქმსა და სააპელაციო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განაცხადა, რომ ის და საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე, დაესწრნენ სააპელაციო საბჭოს სხდომას, სადაც განიხილებოდა შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის სააპელაციო საჩივარი, ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზედაც, შპს დავით აღმაშენებლის სკოლა-ლიცეუმს გაუუქმდა ავტორიზაცია. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ავტორიზაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის შესახებ საკითხი. მისი თქმით, როგორც ავტორიზაციის, ასევე, სააპელაციო საბჭოს სხდომაზე მან, ასევე, საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, აღნიშნეს, რომ ისინი გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, სადაც აღნიშნული იყო დაწესებულებაში გამოვლენილი არაერთი ხარვეზის შესახებ, მათ შორის, კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა მოსწავლეთა უსაფრთხოების საკითხი და, შედეგად, განაპირობებდა დაწესებულებაში გამოუსწორებელი და სავალალო გარემოებების დადგომას. ხარვეზები, ასევე, დაფიქსირდა 1.2., 1.4., 2.1. ქვესტანდარტთან დაკავშირებით. დაწესებულების მიერ ვიზიტის შემდგომ პერიოდში რიგი საკითხების გამოსწორება კი არ იძლეოდა მყარ საფუძველს სკოლისთვის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა, რადგან დაწესებულებას ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაუფიქსირდა მნიშვნელოვანი ხარვეზი. საბჭოს წევრებმა, აღნიშნეს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას, დაეყრდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“, რომლის მიხედვითაც, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას უარი ეთქმოდა ან გაუუქმდებოდა ავტორიზაცია ზოგადსაგანმანათლებლო სტანდარტ(ებ)თან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ხომ არ სურდა საკუთარი პოზიციის დაფიქსირება.

დაწესებულების იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას დაუდგინდა რამდენიმე ხარვეზი, თუმცა, სკოლამ აღნიშნული ხარვეზები გამოასწორა და ექსპერტების მხრიდან გაცემული ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა. იურისტის თქმით, გამოვლენილ ხარვეზებს არ ჰქონდათ იმხელა წონა, რომ დაერღვია დაწესებულებაში მომუშავე თანამშრომლებისა თუ მოსწავლეების უფლებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს სურდათ თუ არა საკითხის შესახებ დამატებით მსჯელობა. საბჭოს წევრების განმარტებით, ისინი იცნობდნენ საკითხს, არსებულ დოკუმენტაციას, ექსპერტების დასკვნას, სკოლის პოზიციას, ასევე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ გამოკვეთილა ახალი გარემობა და დაწესებულებაში გამოვლენილი ხარვეზები კიდევ ერთხელ მიუთითებდა სკოლის მიერ მოსწავლეთა უსაფრთხოების ნორმების დარღვევაზე და დაწესებულებაში სავალალო გარემოების დადგომის საფრთხეზე. აქვე, მათი განმარტებით, ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დეტალურად იქნა განხილული სკოლის საკითხი და, აქედან გამომდინარე, მის შესახებ არ საჭიროებდნენ დამატებით მსჯელობას.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტისა და მე-7 პუნქტის, 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმს (ს/კ: 434159091) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 15:25 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა